



სამართლებლო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტროს

ბრძანება №



MES 5 22 0001166903



27/09/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის - „ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 05 14 03) ღონისძიების - „აჭარის რეგიონში საოჯახო ანსამბლების კონკურსის ორგანიზება და ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და რიგი პირობების განსაზღვრის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული პროგრამის - „ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 05 14 03) ღონისძიებას - „აჭარის რეგიონში საოჯახო ანსამბლების კონკურსის ორგანიზება და ხელშეწყობა“.

ღონისძიების ფარგლებში მოზანშეწონილია კონკურსის გამოცხადება, ხოლო, კონკურსის ორგანიზებისთვის, საჭიროა დამტკიცდეს საოჯახო ანსამბლების კონკურსის დებულება, ფულადი ჯილდოს ოდენობა და განაცხადის ფორმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 26 სექტემბრის №1161167 მოხსენებითი ბარათისა და სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის - „ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 05 14 03) ღონისძიების - „აჭარის რეგიონში საოჯახო ანსამბლების კონკურსის ორგანიზება და ხელშეწყობა“ ფარგლებში გამოცხადდეს კონკურსი.
2. დამტკიცდეს საოჯახო ანსამბლების კონკურსის დებულება, ფულადი ჯილდოს ოდენობა და განაცხადის ფორმა თანახმად №1 და №2 დანართებისა.
3. ბრძანების შესაბამისი პირობებისათვის გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №9) ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი

